პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | კვირა, 24 მაისი 1925 წ. | წლიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 114 (812) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## სამხკორებო, შეუდექით მუშაობას!

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბანაკში გასვლამდე ოუწოდებდით ამხ. სამხკორებს არ გაეწყვიტათ კავშირი გაზეთთან, კორესპონდენციების რიცხვმა ამ ბოლო ხანებში მაინც საგრძნობლად იკლო. სასაკვირველია აქ ბევრად დაინაშავეა ობიექტიური პირობები, როგორც ბანაკში გადასვლა, იქ მოწყობა და სხვა. მაგრამ ჩვენი სამხკორებს მაინც ართეებთ ერთ წუთსაც არ დავიწყონ თავისი ვალდებულება, როგორც ჩვენი გაზეთის თანამშრომლებმა, და პირნათლად შეასრულონ ის. საზაფხულო პერიოდს ჩვენი წითელი ჯარის მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბანაკში წითელი ჯარი გადის არა დასასვენებლად, არამედ გაძლიერებული და გაცხოველებული სწავლების საწარმოებლად, სწორედ ბანაკად ყოფნის დროს ის ალრმავებს თავის სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებას. ამიტომაც როგორც არასოდეს ისე ამ პერიოდში საჭიროა მჭიდრო კავშირი წითელ არმიასა და ჩვენს გაზეთს შორის. ეს კი შესაძლებელია ჩვენი სამხკორების ენერგიული მუშაობით.

ამ ჟამად ჩვენი სამხკორების მუშაობა დიდათ შენელდა. ისინი რაღაც მივიწყებას მიეცნენ, რაც რასაკვირველია მეტის მეტად ხელს უშლის გაზეთის კავშირს ჩვენი ჯარის ნაწილებთან.

სამუშაო ჩვენ სამხკორებს უზარებელი აქვთ.

პირველი და მთავარი—ეს ნაწილების მიმდინარე ცხოვრების და მუშაობის ფართედ გაშუქება. ამ მხრივ არც ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა ან დეფექტი არ უნდა გამორჩეს სამხკორებს. მათ საშუალება უნდა მისცენ გაზეთს რაც შეიძლება ფართოდ ასახოს ბანაკობის სწავლების და ყოფაცხოვრების ყველა მხარეები და ამასთანავე სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს მათი საზაფხულო მუშაობას.

მეორე ამოცანაა დაუყონებლივ ყველგან აღდგენილ იქმნას სამხკორთა წრეები და დაიწყოს მათში გაცხოველებული მუშაობა. ამ წრეებში საჭიროა ახალი წევრების მიზიდვა წითელ არმიელთა აქტიურ მასიდან. ბანაკობის პერიოდში სამხკორთა წრეები უნდა გაფართოვდენ, სამხკორთა რიცხვი უნდა გაიზარდოს—აი ჩვენი მეორე დავალება სამხკორებისადმი.

ჩვენმა სამხკორებმა საჭიროა აგრეთვე მჭიდრო კავშირი გააბან ადგილობრივ სოფლის კორესპონდენტებთან და ამ ხაზითაც განახორციელონ სოფლის და წითელი არმიის დაახლოების საქმე.

ამრიგად სამუშაო რამდენიც გინდა.

ბანაკობის პერიოდი კი არც ისე გრძელია.

ამ ამოცანების შესრულებას დაუყონებლივ უნდა შეუდგენ სამხკორები. კმარა რაც გავცდით. ბანაკი უკვე მოწყობილია და ნორმალური მუშაობისათვის პირობები უკვე შექმნილია.

საჭიროა საქმისთვის ხელის მოკიდება, რომლისკენაც მოუწოდებთ ჩვენ სამხკორებს.

სწერეთ სისტემატიურად ჩვენი წითელი ჯარის მუშაობაზე, მიღწევებზე, მის სოფელთან კავშირზე და სხვა.

ერთი წუთითაც ნუ შეწყვეტთ კავშირს გაზეთთან.

## თავგასულობას დროა ბოლო მოეღოს!

ამ ბოლო ხანებში ჩინეთის მთავრობის პოლიტიკამ საბჭოთა კავშირისადმი მეტის მეტად არა სასურველი ხასიათი მიიღო. პეკინის მთავრობა და ჩრდილოეთ ჩინეთის ბატონპატრონი ჩჟან—ზოლინი თავისი თავხედური საქციელით არღვევენ ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას.

დარღვევების შემთხვევებს დღემდისაც ჰქონდა ადგილი მათ მხრივ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ითმენდა და დაიმედებული იყო რომ ასეთებს მალე მოეღებოდა ბოლო.

მაგრამ რაც დღე მიდის მით უფრო და უფრო იზრდება ჩინეთის მთავრობის თავხედობანი.

მიუხედავათ იმისა, რომ ხელშეკრულების ძალით უნდა გაშვებულიყო ჩინეთის ტერიტორიაზე არსებული თეთრგვარდიელთა ბანდები, ჩინეთის მთავრობამ არამც თუ არ შეასრულა ხელშეკრულების ეს მუხლი პირიქით თვით აძლევს ფულს და იარაღს თეთრგვარდიელებს. დღემდი არ დაუბრუნებიათ ჩვენი კუთვნილი გემები, რომლებსაც დღესაც იგივე თეთრგვარდიელები პატრონობენ. ეს უკანასკნელი იმდენათ გათავხედდენ, რომ კვლავ ეცემიან საბჭოთა კავშირის საზღვარზე მცხოვრებლებს. არც სამხრეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას ასრულებს ჩინეთის მთავრობა. ამ რკინის-გზის სამმართველო სუფროსი, რომელიც ჩინელია ყურს არ იბერტყს და გამგეობის სხდომას არ იწვევს აუარება დაგროვილ საკითხების გასარჩევად.

დაბოლოოს ჩინეთის მთავრობას აქამდინაც არ გადაუცია ჩინეთ-საბჭოთა კომისიისათვის ეგრედ წოდებულ „ბოქსიორთა“ ვალი, რომელიც უნდა მოხმარდეს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ჩინეთში, და არა სამხედრო შეიარაღებებს.

ერთი სიტყვით პეკინის მთავრობა და ჩჟან-ზო-ლინი, წინააღმდეგ ჩინეთის მშრომელთა მასების სურვილისა, მეტის მეტად თავხედურად იქცევიან ჩვენს მიმართ. მათი მოქმედებები მოწმობენ არ მეგობრობას და კეთილ მეზობლობას, არამედ აშკარა მტრობას. საბჭოთა ხელისუფლება არავის ნებას არ მისცემს თავისი უფლებების შებღალვს. მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც უერდგულესი მეგობარია ჩინეთის ხალხის მიიყვანს ამ ხალხის ყურთასმენამდე, თუ რა საძაგელ პოლიტიკას აწარმოებს მათი მთავრობა მათი სახელით.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ თვით ჩინეთის ხალხი მოუღებს ბოლოს პეკინის მთავრობისა და ჩჟან-ზო-ლინის თავგასულობას ისე, როგორც მან ერთდროს აიძულა იგივე მთავრობა ეცნო საბჭოთა კავშირი.

—ფ.

# ახალი რადიო-ამბები

## უთანხმოების შესახებ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე.

საუბარი სვერჩკოვთან.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე თავი იჩინა უთანხმოებამ რკინის გზის გამგეობაში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენლებს შორის.

ამის შესახებ გზათა კომისარიატის წარმომადგენელმა საერთაშორისო საქმეში სვერჩკოვმა როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„მიუხედავად ჩვენსა და ჩინეთს შორის დადებულ ხელშეკრულებისა და საბჭოთა წარმომადგენლების ცდებისა—მეგობრული განწყობილება ჰქონოდათ რკინის გზის გამგეობის ჩინეთის ნაწილთან,—გზის მუშაობის დაწყებისთანავე თავი იჩინა უთანხმოებამ, რომლებიც დღემდის ასე თუ ისე გვარდებოდა.

ბოლოს საკითხი გამწვავდა. გამგეობის თავმჯდომარე აღარ იწვევს სხდომას, რის გამოც თავი მოიყარა ოთხასამდე საკითხმა. მეტის მოთმენა შეუძლებელია.

რკინის გზის გამგეობის ჩინეთის ნაწილმა უნდა გადასწყვიტოს—ვისთან სურს მუშაობა: თეთრგვარდიელთა ემიგრაციასთან თუ საბჭოთა კავშირთან“.

## ბენეში უცდის შესაფერ დროს.

ბუქარესტში მომხდარ მცირე ანტანტის კონფერენციასთან დაკავშირებით ბენეშმა ესაუბრა პრესის წარმომადგენლებს.

ჩეხო-სლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ ბენეშმა განაცხადა, რომ ის წინანდებურად მომხრეა ურთიერთობის განახლების, მაგრამ ამისათვის საჭიროა შესაფერი დრო. დღეს ამისთვის არ არის ხელსაყრელი დრო, ვინაიდან ჩეხო-სლოვაკიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში კომუნისტური საფრთხე სამჩნევად გაიზარდა.“

## იტალიის წითელ-ფრონტელები.

რაც იტალიის ფაშისტურმა მთავრობამ გაუშვა ფრონტელების კავშირის ცეკა და საქმის მმართველებად დანიშნა თავისი კომისრები, უკანასკნელებმა დაიწყეს ადგილობრივი კომიტეტების დათხოვნა და თავისიანების დანიშვნა. მაგრამ ფრონტელებიც კვლავ შეუდგენ დამოუკიდებელ კავშირის შექმნას და ამ ჟამად ყველა ქალაქებში ყავთ განყოფილებები.

უკანასკნელი ცნობებით დამოუკიდებელ ასოციაციას ყავს ამ ჟამად 300.000 წევრი. (დაშლამდი მათ ყავდათ 330.000 წევრი).

## ბრძოლა მაროკოში.

ჰავასის სააგენტოს ცნობით ფეციდან (მაროკოშია), საფრანგეთის ჯარების ცენტრმა გენერალ შამბრენას მეთაურობით გასწმინდა ზემო უესგის მთელი რაიონი (მაროკოს ნაწილია). მარჯვენა ფრთაზე მომქმედ რაზმმა დრადერიდან მიაღწია მედიუნისს.

მარცხენა ფრთაზე მომქმედმა რაზმმა განდევნა აჯანყებულები ჩრდილოეთისაკენ.

## მუშათა პარტიის კანონპროექტების უარყოფა.

ინგლისის თემთა პალატამ უარყო მუშათა პარტიის კანონპროექტი მთავრობის ბიუროს დაარსებაზე უმუშევართავის სამუშაოს გამოძებნის შესახებ. ამ ბიუროს უნდა მისცემოდა 10 მილ. გირვანქა სტერლინგი. ამ თანხით უნდა შექმნილიყო საწარმოო დაწესებულებები, რომლებიც სამუშაოს მისცემდენ უმუშევრებს.

## პოლონეთ—საბჭოთა ურთიერთობა.

ჩიჩერინისა და რიკოვის სიტყვის შესახებ ცნობაში „კურიერ ჩერვონნი“ ეხება გამოჩენილ დიპლომატის განცხადებას და აღნიშნავს, რომ ეს სიტყვები შეიცავს პოლონეთ—საბჭოთა ურთიერთობის ნამდვილ შეფასებას.

გაზეთი მიუთითებს, რომ ამ სიტყვებში წამოყენებული სადაო საკითხები მეტად სერიოზულია პოლონეთისთვის, რომ მან უარყოს ხელის შეწყობა ორივე ქვეყნების ეკონომიურ ურთიერთობის.

## საბჭოთა მშრომელები ეხმარებიან გაჭირვებაში მყოფ მოძმეებს.

პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ პროფინტერნთან ერთად გაუგზავნა დანიის მუშებს (რომელთაც ლოკაუტი გამოუცხადეს მეპატრონეებმა) 10.000 მანეთი.

**ორშაბათს, მაისის 25-ს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში** (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) მოწვეულია ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. მიმდინარე საანგარიშო წლის 1-ლ ნახევრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

# ამხ. ფრუნზეს მოხსენება.

**სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობაზე, 19 მაისს.**

## ძირითადი არმიისა და მილიციონურ სისტემის შეუღლება.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენთვის საჭირო იქნებოდა არა 562.000 კაცისაგან შემდგარი არმია, არამედ სულ მცირე 1.700.000 კაცისაგან შემდგარი, ე. ი. ისეთივე არმია, როგორიც ჰყავდა მეფეს იმპერიალისტურ ომის დაწყების წინ.

ასეთი არმიის შენახვა ჯერ ერთი უზომო ტვირთად დააწვება მოსახლეობას, ხოლო მეორედ—ეს მთელი მსოფლიოსთვის იქნებოდა მართლაც წითელი იმპერიალიზმის მაჩვენებელი, რადგან მშვიდობიანი დროის არმია ასეთი რაოდენობით არის თავდასხმის და არა თავდაცვის არმია. აი რატომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ გზით წასვლა როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსიურ მოსაზრებით.

**როგორ ცხოვრობს, იკვებება და იმოსება წითელი არმია.**

არმიის მომარაგების საკითხში ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი გაუმჯობესებანი. რაც შეეხება ყაზარმებს, აქ არის ბევრი ნაკლულევანება. ჩვენი ყაზარმები მოძველებულია.

სანიტარული საქმე კარგ ნიადაგზე სდგას.

არავითარ ეპიდემიას წითელ-არმიაში ადგილი არ აქვს.

შემდეგ ამხ. ფრუნზემ აღნიშნა, რომ ყრილობამ დადებითად უნდა გადასჭრას სამხედრო მოსამსახურეთა პენსიის საკითხი.

**ეროვნული საკითხი არმიაში სწორედაა გადაჭრილი.**

ჩვენ ვაწყობთ წითელ-არმიას ისე, რათა ჩვენი კავშირის თვითეული ერი თავს არ გრძნობდეს შეურაცხყოფილად და უყურადღებოდ დარჩენილად.

გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვაქვს, მოწმობს იმას, რომ ჩვენ მიერ არჩეული გზა ამ საკითხში სავსებით სწორია.

**საბრძოლო მომზადება.**

არმიის ბრძოლის უნარიანობა განისაზღვრება სამი ძირითადი მომენტით:

ერთის მხრივ—არმიის პირადი—მეთაურთა და წითელ-არმიელთა შემადგენლობის საბრძოლო მომზადებით, მეორეს მხრივ—არმიის მოწყობით და მესამე—ტეხნიკით.

წითელი არმიის პირადი შემდგენლობის საბრძოლო მომზადება დამაკმაყოფილებელია.

**წითელ-არმიელი საბჭოთა კავშირის მოქალაქეა.**

სამხედრო საქმე სავსებით იმყოფება მშრომელთა ხელში. ხოლო ეს საუკეთესო საბუთია იმის, რომ წითელი არმია რევოლიუციის ძლიერი დასაყრდენია.

ჩვენი წითელი არმიის აღმზრდელობა სწარმოებს არა პოლიტიკურად განცალკევებით ქვეყნის ცხოვრებისა და სამოქალაქო ინტერესებისაგან, არამედ ისე, რათა ყოველი წითელ-არმიელი გრძნობდეს თავს, როგორც დარაჯი და ამასთან საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე.

**კულტურულ საგანმანათლებლო საქმე.**

წითელი ყაზარმა არა მარტო სამხედრო აღზრდის, არამედ იმავე დროს მოქალაქისა და კულტურულ მომუშავის აღმზრდელი სკოლაა. წითელ არმიაში ჩვენ გვაქვს 4.500 ლენინის კუთხე.

საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობა წითელ არმიაში ფართე ხასიათს ატარებს. მკითხველთა რიცხვი ყოველ წლიურად იზრდება. 1923 წელს წითელ-არმიელთა ბიბლიოთეკებიდან გატანილ იქნა 6.438,000 წიგნი, 1924 წელში-10.051000 ჩვენ დიდ მუშაობას ვეწევით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

**წითელი არმიის ტეხნიკა.**

**წითელი არმიის ტეხნიკის გაძლიერების ამოცანა ჩვენი ძირითადი და არსებითი ამოცანაა.**

უძლიერესი იარაღი, რომელიც დიდ როლს ითამაშებს მომავალ ომში-ეს არის საჰაერო ფლოტი. ამ მხრივ ჩვენ საგრძნობი მიღწევები გვაქვს.

მეორე იარაღი საზღვაო ფლოტია.

ჩვენი დღევანდელი ფლოტი არც კი ჩამოუვარდება ძველ მეფის ფლოტს.

**სამხედრო მრეწველობა.**

საავიაციო მრეწველობის მხრივ ჩვენ საკმაო წარმოებები გვაქვს უკანასკნელ წლებში.

ჯერ კიდევ 1925 წელს ჩვენ შევიძინეთ საზღვარ გარედ სამი წლის განმავლობაში 700 თვითმფრინავი. ამ წელში ჩვენ არ გვიყიდია არც ერთი თვითმფრინავი და მომავალ წელში სავსებით უზრუნველყოფილ ვიქნებით ჩვენი თვითმფრინავის მშენებელ ქარხნები მუშაობით.

სამხედრო ქიმის საქმეში ჩვენში მუშაობდენ დიდი გამოჩენილი სწავლულები.

**სალამი ქვეყნის თავდაცვის ხელის შემწყობთ.**

მეცნიერებისა და ფიზიკურ მუშაკთა ძალღონე ჩვენში გაერთიანებულია მთელ რიგ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, როგორიცაა ქიმიის მეგობართა საზოგადოება, საჰაერო ფლოტის მეგობართა და სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება.

ყველა ეს საზოგადოებები აწარმოებენ გაძლიერებულ მუშაობას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კულტურული დონის ასამაღლებლად.

ამხ. ფრუნზე ესალმება წითელი არმიის სახელით მილიონ მშრომელებს, შეკავშირებულებს ამ საზოგადოებებში და უსურვებს წარმატებას მუშაობაში.

უფრო ადვილია საბჭოთა სახლის გაფართოება, ვინემ მისი დანგრევა.

დასასრულ ამხ. ფრუნზემ განაცხადა:

თუ ვისმეს მოესურვება ხიშტით მოშინჯოს საბჭოთა სახლის სიმტკიცე, წითელი არმია დაამტკიცებს, რომ ეხლა გაცილებით უფრო ადვილია ამ სახლის გაფართოვება ახალი საბჭოთა მინაშენებით, ვინემ მისი დანგრევა.

(ტაში. ხმები: „გაუმარჯოს წითელ არმიას! ურა!“

# სამხედრო საქმე.

**შენიღბვის სწავლება ნიღაბმანევრის გამოცდილების ხედვით.**

**დასვენების დროს.**

რათა დაჰფარო თავი დასვენების დროს, საჭიროა გამოსძებნო შესაფერი ადგილი. ჯარის დასვენებულ ადგილად საუკეთესოა ტყე, ბაღი, სოფელი და ისეთი რაიონები, სადაც მოიპოვება საკმაოდ შენობები, ნაგრევები, წნულები, ღობეები, და სხვა. გასული წლის ნიღაბმანევრზე ნაწილები სარგებლობდენ განსაკუთრებით ბუნებრივი ნიღაბით, როგორიც კი მოიპოვებოდა ჯარების მოქმედების რაიონში.

მაგალითად, მწკრივად დაყენებული თოფები იხურებოდენ მწვანე დოლბანდით ხიშტების ბრჭყვიალის დასაფარავად. მოდარაჯე ოცეულები თავსდებოდენ ჩაღრმავებულ ადგილებში, ბუჩქებში.

ჩაღრმავებული ადგილები მათ ჰფარავდა მიწის, და არა ჰაერიდან მოთვალ თვალისაგან, მიტომაც შენიღბვის ასეთი წესი ცნობილი იქნა არა მიზანშეწონილად. თავისთავად ცხადია, რომ ღამით არ შეიძლებოდა ცეცხლის დანთება და საჭირო იყო სრული სიწყნარის დაცვა.

შენიღბვის დისციპლინის დარღვევა, როგორც მაგალითად, ხმა მაღალი ლაპარაკი ტელე-
ფონზე, შტაბების ბრჭყვა
განათება ღამით, სამზარეულ
სთან მეომართა დაგროვება
სხვა ამტკიცებდა იმას,
არამც თუ წითელ-არმიელ
არამედ მეთაურთა შემად
ლობაც კი ვერ იყო სათა
დოდ გამსჭვალული შენიღბ
აუცილებლობის შეგნებით.

განსაკუთრებით სუსტად ი
ღბებოდა შტაბები. უნდა
ღიაროდ, რომ ეს უარყოფ
თი მოვლენა თითქმის ჩვეუ
ბრივ ხასიათს ატარებს. შტა
მახლობლად ჩვეულებრივად
ვს იყრიან ქვეითი და ცხე
სანი მეომრები, არის განუწყ
ტელი ფუსფუსი, მიმოდ
ცხენოსანი შიკრიკები, მე
ურები.

ძალიან იშვიათად ფიქ
ბენ აქ შენიღბვაზე (დაფარვა
ეს სჩანს თუნდაც იქედან,
ხშირად ცხენს დააბამენ სად
კი მოხვდებათ და არ ზრუ
ვენ დააყენონ ის სადმე ჩრ
ლოში ან სახურავს ქვეშ.

ყოველივე ასეთი ნაკლი
მოსწორებულ უნდა იქნას
ნა მდინარე ზაფხულის სავე
მეცადინეობის განმავლობა

ვ.

# სამხედრო ქიმია.

**გაზებისაგან თავდაცვა.**

რომელი გაზიც არ უნდა ავიღოთ, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ „მას არავითარი სუნი არ აქვს“-ო, მაინც აქვს მას განსაკუთრებული სუნი, მაგრამ ჩვენ, ადამიანებს არ შეგვიძლია ამ სუნის შეგრძნობა, ვინაიდან ჩვენ შედარებით სუსტად გვაქვს განვითარებული ყნოსვითი ალღო. მაგრამ ძაღლს ეს ალღო მეტად განვითარებული აქვს. ამიტომ თუ ძაღლს მშვიდობიან გარემოებაში დავასწავლით გამძლე გაზების სუნს და დავახელოვნებთ მას გვაცნობს ყეფით, როცა ის იგრძნობს ჰაერში ასეთ სუნს, ასეთი ძაღლი უსათუოდ დიდ სარგებლობას მოიტანს გამძლე გაზის გამოცნობით. საზღვარ-გარედ სხვადასხვა გაზის გამომრკვევ ქიმიურ საშუალებათა გამოგონებასთან ერთად სწარმოებს ძაღლების გაწვრთნაც იმავე მიზნით. ცხადია, რომ ასეთ ცოცხალი გაზის „გამომრკვევი“-ს შედეგები კარგი იქნება. ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ძაღლის ასეთი გაწვრთნა შეიძლება წარმოებულ იქნას თავისუფალ დროს და ქიმიური ინსტრუქტორის დახმარებით; ასეთ დროს დაკარგვას სავსებით აანაზღაურებს შედეგი.

ჰაერში საერთოდ გაზისა და კერძოდ „გამძლე“ გაზის არსე-
ბობის გამოსარკვევად არმიე
მოიპოვება ბევრი სხვადას
ქიმიური საშუალება. თუ რ
გან და როგორ მზადდება
გაზის გამომრკვევი საშუალ
წერილში ამაზე ლაპარაკი
უძლებელია, მაგრამ საჭირ
აღვნიშნოდ შემდეგი: „ყოვ
მეომარს უნდა შეეძლოს ქ
ური გაზის გამომრკვევის
რება და იცოდეს, თუ როგ
გიჩვენებს ის ამა თუ იმ გა
არსებობას ჰაერში. ამის ცო
ნა აუცილებელია არა მარ
მეთაურთა შემადგენლობის
არამედ თვითეული მეომრ
თვის. მით უმეტეს, რომ მო
ვალ ქიმიურ ომებში საჭი
იქნება განსაკუთრებული სიფ
თხილე და დაკვირვება. ყოვ
მეომარს უნდა ესმოდეს, რ
არავითარი ცვლილება ფრონ
ზე, თვით უმნიშვნელოც
არ უნდა გაუშვას უყურადღ
ბოდ.

ფრონტზე კვამლის, ორ
ქლის, მტვერის, ნისლისა
სხვა ასეთების გამოჩენა მხ
ველობაში უნდა მიიღოს მე
მარმა და ყოველ ასეთ შემ
ხვევაში ის უნდა მოემზად
თავდაცვისათვის, უნდა იყ
ფხიზლად, ვინაიდან ყველა
რი ეს შეიძლება დაღუპვ
უქადოდეს.

ლ. ვორონოვი.

# ჭიათურის შავიქვის კონცესიის შესახებ.

ყველამ კარგათ იცის, რომ ჩვენი ქვეყანა უხვადაა დაჯილდოებული ბუნებრივი სიმდიდრეებით, რომლის დამუშავებას საბჭოთა ხელისუფლების დროს ექცევა მაქსიმალური ყურადღება

ასეთ ერთ-ერთ თვალსაჩინო და მსოფლიო ხასიათის ბუნებრივ სიმდიდრეთ უნდა ჩაითვალოს ჭიათურის შავი ქვა—მარგანეცი.

საზღვარ გარეთის კაპიტალისტებს ყოველთვის თვალი უჭირავთ ჭიათურის შავი-ქვისაკენ, მოეშურებიან აქეთ და სურთ ხელში ჩაიგდონ მისი ექსპლოატაცია. ამიტომ იყო, რომ იმპერიალისტური ომის დაწყებამდე ჭიათურის შავი ქვის მრეწველების უმრავლესობას საზღვარ გარეთის კაპიტალისტები შეადგენდენ.

უნდა ითქვას, რომ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებისა და საერთოდ უკანასკნელი რევოლიუციების დროს საგრძნობლად იკლო ჭიათურის შავი ქვის წარმოებამ, რის გამოც სახელმწიფოს სალაროებს მოაკლდათ შემოსავალი გასატან შავ ქვაზე დადებულ გადასახადებისაგან.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება და უკანასკნელ ხანებში გამართა მოლაპარაკება ხელშეკრულების დასადებად ამერიკის ერთ-ერთ ფირმასთან, **„ჰარიმან და ამხ.გობასთან“**, ჭიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ.

ჩვენის მხრივ მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდა **საბჭოთა კავშირის მთავარი საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პიატაკოვი.** მაგრამ მოლაპარაკება უკანასკნელ ხანებში შეწყდა. შეთანხმება და ხელშეკრულების დადება ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

ჩვენ გვახსოვს, რომ რამოდენიმე წლის წინად საზღვარგარეთის კაპიტალისტები სრულიადაც არ კადრულობდენ საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვას და სავაჭრო ხელშეკრულებების დადებას. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მათ არ სწამდათ თუ საბჭოთა რუსეთი გაძლიერდებოდა და თავს დააღწევდა ეკონომიურ კრიზისს.

საბჭოთა ხელისუფლება, ეკონომიურად და პოლიტიკურად უკვე გამტკიცებული, საზღვარგარეთის კაპიტალისტებთან დასდებს, ისეთ ხელშეკრულებებს, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს მთელი კავშირის მშრომელ ხალხს და მისაღები იქნება მისთვის.

უკიდურეს შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება იხმარს ყოველივე ღონისძიებას, რომ თავისი ბუნებრივი სიმდიდრე დაამუშაოს საკუთარი საშუალებებით.

აი რასა სწერს ჭიათურის კონცესიის შესახებ ამხ. პიატაკოვი:

„ჩვენ ბევრ რამეში დავუთმეთ ჰარიმანს, თითქმის ყველაფერში შევთანხმდით, მაგრამ დარჩა ერთი მუხლი რომელსაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავთმობთ. საქმე შემდეგშია:

პირობის ძალით ჩვენ ვაძლევთ კონცესიას 20 წლის ვადით.

ამ ვადის გათავებამდე პირობის გაუქმება შეიძლება ორთავე მხარის შეთანხმებით. მაგრამ შესაძლებელია, რომ ერთმა რომელიმე მხარემ აღარ მოისურვოს პირობაში დათქმულ ვადამდე მოცდა. ამ შემთხვევაში პირობაში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რა შედეგი მოჰყვება პირობის ვადამდე გაუქმებას.

ჰარიმანის წარმომადგენელი მოითხოვს, რომ არავითარი პასუხისმგებლობა კონცესიის ამღებლებს ჩვენ არ უნდა მოვსთხოვოთ.

ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით.

ჩვენს პირობაში სწერია, რომ ჰარიმანმა მუშაობის დაწყებისთანავე უნდა გადააკეთოს ჭიათურის ვიწრო ხაზიანი რკინის გზა. ე. ი. გაიყვანოს ჭიათურამდე ისეთივე რკინის გზა, როგორიც მთავარ ხაზზეა. გარდა ამისა, ის ვალდებულია მოაწყოს ფოთში შავი ქვის ჩასატვირთავი და სხვა.

ამ საქმეში მან უნდა დახარჯოს დაახლოვებით 36-40 მილიონ მანეთამდე.

ჩვენ ვალდებულს ვხდით ჰარიმანს, რომ თუ ვინიცობაა ის თავს დაანებებს მუშაობას ვადის გათავებამდე, მან ან ფულად უნდა გვიზღოს ჩვენ ეს ზემოხსენებული თანხა, ან და თუ ამ თანხით გაკეთდება რაიმე, მაშინ ყოველივე ეს მოწყობილობა უფასოთ გადაეცეს ჩვენს მთავრობას.

ჰარიმანი ამაზე თანხმობას არ გვაძლევს, უამისოთ კი ჩვენ არავითარ შემთხვევაში პირობაზე ხელს არ მოვაწერთ.

საჭიროა აქვე მოვიყვანოთ **ამხ. ს. ორჯონიკიძის** განცხადება ჭიათურის კონცესიის შესახებ, რომელმაც სთქვა: „ამხ. პიატაკოვის განცხადებაზე მე არაფერი მაქვს დასამატებელი. ვიტყვი მხოლოთ, რომ ჰარიმანს არ შეუძლია არ დასთანხმდეს ჩვენს უკანასკნელ წინადადებაზე, თუ მას სერიოზულად სურს მუშაობა. **წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ საკუთარი ძალებით გაუძღვეთ ამ საქმეს.**“

## ცვალებად შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლა.

მომავალ შეკრებაზე გამოწვეული მოქალაქეები რამოდენიმე ხნით მოსწყდებიან თავიანთი ყოველდღიურ შრომას.

ამიტომ საჭიროა ფართოდ გაცნობილ იქნან მოქალაქეები, თუ როგორია სამსახურის გავლის საერთო პირობები და ის უპირატესობანი, რომელიც გათვალისწინებულია სათანადო კანონში და ენიჭება ტერ არმიელს. რაც შეეხება ტერნაწილების ძირითად შემადგენლობას (კადრი), როგორც ვიცით, სამსახურის გავლის პირობები, შეღავათები და უპირატესობანი მათ მიმართ ისეთივეა, როგორიც მუდმივ, ძირითად ნაწილებში.

ნორმალურ პირობებში ცვალებად წითელ-არმიელთა შემადგენლობა ორთვიანი წვევამდე მომზადების გავლის შემდეგ ჩაირიცხება შტატში წელწადში ერთხელ და ერთი წლის განმავლობაში—სამი თვით სწარმოებს მოსამზადებელი პერიოდი.

ამ რიგად შტატში ჩაირიცხება ის პირები, რომლებსაც გაუვლიათ 5 თვიანი სწავლების კურსი.

ტერნაწილის ცვალებად შემადგენლობაში წითელ-არმიელი ირიცხება 4 წლის განმავლობაში. ამ პერიოდის განმავლობაში მისი სწავლების ვადა საერთოდ უდრის ხუთ თვეს.

მოქალაქეებს, რომლებიც ჩარიცხულ უნდა იქნან ცვალებად შემადგენლობის შტატში, გაწვევის წელში იწვევენ შეკრებაზე სამი თვის ვადით (როგ. მაგ. ამ ჟამად სწარმოებს ჩვენში 1902 წელში დაბადებულ სამხედრო ვალდებულთა გამოწვევა) ეგრედ წოდებულ „წინასწარ სამოსწავლო პერიოდისთვის" სამხედრო მოსამზადებლად.

ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხული მოქალაქეები ითვლებიან როგორც ნამდვილ სამხედრო სამსახურში; საჭიროების დროს ასრულებენ სამსახურის დავალებებს შეკრებათა შორის პერიოდში, ე. ი. მაშინაც, როცა ცვალებადი შემადგენლობა იმყოფება მუდმივ საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილზე,

შტატში ჩარიცხულებს მიეცემათ წითელ-არმიელის წიგნაკები, რომლებიც წარმოადგენს მათ პირადობის მოწმობას.

შეკრების დროს ცვალებად შემადგენლობას მიეცემა სახაზინო ტანსაცმელი, რაიც ირიცხება თვითეულ ცვალებად არმიელის სახელზე მთელი, ცვალებად შემადგენლობის შტატში ყოფნის განმავლობაში და ინახება ნაწილში.

ერ.

## ახკომკავშირელთა შორის.

**კარგი მუშაობის შედეგი.**

1-ლ საარტილერიო ლეგიონში ახკომკავშირელთა რიცხვი უდრის 48-ს. წითელ არმიის რიგებში მოსვლისას მათ შორის 40 პროც. იყო წერა-კითხვის უცოდინარი. ჯარში მოსვლისთანავე მათ მიექცათ სათანადო ყურადღება და მიმაგრებულ იქნენ სალიკვიდაციო სკოლებზე, სადაც დაჰყვეს რამოდენიმე თვე.

დღეს მათ შორის სრულიად მოსპობილია წერა-კითხვის უცოდინარობა: კარგათ შეისწავლეს დედა-ენა, ანგარიში და სხვა.



## ჩვენს ქიმ-მეგობართა წრეში.

**4-ხე ტერ ლეგიონი.**

დიდი ხანი არ არის მას შემდგ, რაც ჩვენს ლეგიონში დაარსებული იქნა ქიმ-მეგობართა წრე. თავიდანვე წრეში ინტენსიური—ნაყოფიერი მუშაობა გაჩაღდა, რამაც საგრძნობი კვალი დააჩინა თვით ლეგიონს.

წრის ხელმძღვანელობით ლეგიონში მოწყობილი იქნა ქიმიური კუთხეები, მოხდა სამკითხველოში ქიმიური ლიტერატურის აღრიცხვა და ცალკე გამოყოფა, რომ უფრო გაადვილებულიყო ლიტერატურით სარგებლობა.

ამ ჟამად წრეში ირიცხება სულ ოთხმოცდა ათი წევრი. წრეს აგრეთვე განზრახული აქვს თავისი განყოფილებების მოწყობა პერიფერიებში და როგორც წითელ არმიელთა, ისე გლეხობის ფართო მასის ჩათრევა საზოგადოებაში, რაც იმედია წარმატებით იქნება შესრულებული.

სამხკორი წულაია.

## სხვას ნუ ჩამოვრჩებით.

**მეხუთე ლეგიონი.**

ჯერ კიდევ გასულ წელში დაარსდა ჩვენს ლეგიონში რემედასის უჯრედი. ბიუროში შედიოდა სამი ამხანაგი. შემდეგ მოხდა ლეგიონის შემდგენლობის დანაწილება პუნქტებზე და ეს ამხანაგებიც გადაყვანილი იქნენ სხვა და სხვა ადგილებზე.

თითქმის სამი თვე გავიდა მას შემდეგ და რემედასზე არავინ ფიქრობს. ყოველგვარი მუშაობა ამ მიმართულებით ჩამკვდარია.

ამხ. სამხკომო მიაქციეთ ყურადღება ამ მოვლენას. ნუ ჩამოვრჩებით სხვა ნაწილებს. საჭიროა კვლავ არჩეული იქნენ ბიუროში ენერგიული ამხანაგები, რომლებიც შესძლებენ მუშაობის გამოცოცხლებას.

სამხკორი ვინც არის.

პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა ახკომკავშირელთა შორის სწარმოებს თვით უჯრედებში და კომკავშირის ჯგუფებში, სადაც გადიან ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიას, მოცემული პროგრამის მიხედვით. მუშაობას ხელმძღვანელობს კომკავშირის აქტივი.

ამასთანავე ერთად ა. ლ. კომკავშირის წევრების 100 პროც. ესწრება 1-ლი საფეხურის პარტ-განათლების სკოლების მეცადინეობას, რომელიც ხდება კვირაში ერთხელ.

კომკავშირელები ყოველგვარ მუშაობაში იჩენენ დიდ აქტივობას.

უკანასკნელ ხანებში რამოდენიმე კომკავშირის წევრი გაიგზავნა სამხედრო-პოლიტ სკოლაში კურსანტათ, საიდანაც მივიღებთ კარგათ მომზადებულ პოლიტ-ხელებს ჩვენი ნაწილებისათვის.

ტ. ხეველი.

## ამხ. ვ. თედორაძის ხსოვნას.

მეხუთე ლეგიონში 14 მაისს სამუდამოთ მიწას მივაბარეთ ათასეულის მეთაური ამხ. ვასილ თედორაძე, რომელიც მსხვერპლი შეიქნა უცაბედათ გამოვარდნილ ტყვიისა.

ამხ. თედორაძე დაიჭრა შემთხვევით ტყვიმფრქვევის სამი ვაზნით, რომელიც მაშინათვე გადაგზავნეს საავათმყოფოში. მან იცოცხლა მხოლოდ ორი დღე და სამუდამოთ გამოეთხოვა ჩვენ ლეგიონს.

მეხუთე ლეგიონის წითელ არმიელებს, და უფ-პოლიტ-შემადგენლობას თავზარი დასცა ენერგიით აღსავსე და საყვარელი ამხანაგის მოულოდნელმა სიკვდილმა.

საუკუნო ხსოვნა ტრაღიკულად დაღუპულ ამხ. ვ. თედორაძის.

სამხკორი მ—სკი.

## ჭკუის სწავლება სჭირია.

პირველი ლეგიონის სამნეო ნაწილში საქმის მწარმოებლად არის მოქ. აკაკი რამიშვილი.

მას ისე ყავს დამონებული ყველა, რომ მასთან მისვლას ვერ ბედავენ. ამისთანა ახირებული კაცის მნახველი ჯერ არ ვართ. რაც უნდა ძალიან დიდი საქმე გქონდეს, ის არ მოგისმენს და აგიყვირდება; „მომცილდით აქედან, ჩემს ახლოს ნურავინ მოხვალთო, არ მაქვს თქვენი ლაპარაკის თავიო".

მასთან მიმსვლელი ამხანაგი, ამ ყვირილის შემდეგ დიდი შიშით უკან დაიხევს, რომ არავინ შეხედოს და ყვირილი არ გაიგონოს, რადგან დარწმუნებულია, რომ მას დასჯიან, ვითომც როგორც მტყუანს. საქმის მწარმოებელი კი აუცილებლად მართალი გამოვა, რადგან მას უფრო უჯერიან.

დიდი ხანია, რომ მოქ. რამიშვილი ასე იქცევა.

ვერ ნახავთ ისეთ მეთაურს, ან წითელ არმიელს, რომ მასზე ძვირს არ ლაპარაკობდეს.

დღემდე ამას ყურადღებას არავინ არ აქცევს და ერთხელაც არ მიუციათ გაფრთხილება მისთვის.

ლეგიონის სამხკომმა და ლეგთავმა მიაქციონ ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღება და ასწავლონ მოქ. რამიშვილს, როგორ უნდა მოეპყროს წითელ არმიელებს და უფროსთა შემადგენლობას.

სამხკორი ლ.

## საჭიროა განმარტება.

გაზეთ „წითელ არმიელის" მე № 109-ში მოთავსებულია წერილი მოქ. ხ—ძისა, რომელიც არა სწორი ფაქტებით ბრალსა მდებს მე, თითქოს ამეღოს მისგან რევოლიუციის ბელადების საბუთები, ფული არ მიმეცეს და არც მსურდეს მიმე უკვირდები მას.

## ვაზიანის ველზე.

(წით. არმიელის დღიურიდან.)

1

დღეს ბანაკში ვართ არტილერისტები.

გავშალეთ თეთრი კარვები რომლებიც გაფუყულ კრუხებს ჰგვანან და შიგ შესული წით. არმიელები კი წიწილებს მოგაგონებენ.

ჟრიამულია.

დაულეველი მინდორი აივსო კარვებით.

სიცოცხლე ადუღდა და აჩუხჩუხდა.

ხაზზე წამოყუდებულან ქვემეხები და მდუმარებით გასცქერიან მინდორს, რომელზედაც აქა-იქ ბუჩქებივით მოსჩანან ნახირის ჯოგები და ბანაკში მომავალი ფურგონები. ჩვენს მარჯვნივ რუსული ნაწილია, შემდეგ აზერბაიჯანის, მარცხნივ სომხეთის დივიზიის, შემდეგ რუსული და ასე ბოლომდის...

აქ ვართ ყველანი.

ერთად შეკრებილნი, ე თად უნდა ვისწავლოთ, ერთად ვიბრძოლოთ, ერთად ვიცხოვროთ.

გორაკიდან ამ დაულეველ კარვების დანახვით არ შეიძლება გულის ტოკვით არ წამოიძახო:

„ესენი ჩვენები არიან!!!"

ბრძოლაში ერთმანეთს დავეხმარებით, ცხოვრების ჰპანს ერთად გავსწევთ.

2

№ ბატარეიის მზვერავები კამათობენ.

—მაგალითად, დაზვერე მოწინააღმდეგეს ბანაკი, ყოველი ცნობებით უკან მოდიხარ. ერთბაშად აზერბაიჯანის ნაწილი შეგვხდა, გეკითხებიან ვინახართ-რას იტყვი?—კითხულობს ერთი.

ტანისამოსი ხომ გაქვს წითელ-არმიელის? ეუბნება მეორე.

—ტანისამოსი მტერსაც შეუძლია ჩაიცვას ჩვენი.

—ეგ მართალია. ადასტურებენ წით. არმიელები.

ბოლოს გადასწყვიტეს:

—რამოდენიმე სიტყვა მაინც უნდა ვიცოდეთ სომხური და თათრული, თორემ როგორ იქნება ისე.

ერთი ამბობს:

—მე რუსული ვიცი, პასუხს მივცემ.

—რუსულს ჩვენც მოვახერხებთ. იძახიან სხვები.

გრძელდება საუბარი:

—ამიერ-კავკასიელებს ერთმანეთის არა გვესმის რა.

ასე არ შეიძლება...

ჩავლეიშვილი სხვა წითელ-არმიელებთან ერთად კარვებს შლის და სცდილობს სხვა ბატარეებზე უკეთ მოაწყოს თავიანთ ბატარეა—შეჯიბრებაა ჩუმი.

კარვებს მოშორებით უკან ცხენები მწკრივად მიბმულები თივას და ქერს ანადგურებენ არხეინი ფრუტუნით.

შავი პატარა კვიცი დედის გარშემო ხტის. დღიური ლობჯანიძე უფრთხილდება.

ღამე მგელმა კი არ მოიტაცოს! ფიქრობს და გორას უყურებს საიდანაც შიში აქვს.

ფეიქრიშვილი თლის სოლებს, რიკებს და კარვებისთვის საჭირო ბოძებს. ეშინია თავის მხრივ არ დააბრკოლოს კარვების გაშლა და ვინმე არ გაცივდეს.

3

კარვის კალთები ქარს ებრძვიან და გაბრაზებულები მიწას უტყაპუნებენ კალთებს.

აგერ ქარმა ერთ წითელ-არმიელს ხელიდან გამოსტაცა ბარათი და გზას გაუყენა.

მიფრინავს გაუხსნელი წერილი.

წ. არმიელმა დასჭიმა კუნთები და გამ უდგა დასაჭერად.

—ალბად დედისგან არის გამოგზავნილი.

—დაიჭი ბიჭო!!!—ისმის აქეთ-იქედან.

4

არმიელებს ჭამის მადა მოემატათ, პური აღარ ჰყოფნის ზოგს.

—დღეს ერთი გირვანქის მეტი არ მიგვიღია, რა ამბავია, ალბად ფურგონებმა დაიგვიანეს-სწუხს ერთი სამზარეულო ქვაბთან.

ქვაბში ლობიო დუღს და თითქოს ლაპარაკობს;

„ჰა!! ყოჩაღად იყავით, არ შეგეშინდეთ აქა ვარ"-ო.

მზარეული ვასაძე მეტრ ნახევრიან საჭეს ურევს შიგ.

—რას გააჭირებს ეს დალოცვილი საქმეს, აღარ იხარშება!

5

ქარი არ ისვენებს,

კარვის წვერებზე სისინობს, სტვენს.

რას ამბობს ქარი?

მოვიხედავ ტფილისისაკენ....

ფინიკულიორზე წითელი ვარსკვლავი ბრჭყვიალებს.

ამაყად ფრიალებს სასახლის თავზე წითელი დროშა.

მე მჯერა—ესენი გზავნიან თავის გულისნადებს ქარის საშუალებით,

დანაპარებს ქარი ჯერ ქვემეხებს ტრჩებში წაუტუტუნებს, კარვის წვერებზე სისინით წაილაპარაკებს, ცხენებს წაუჩურჩულებს, ხოლო წითელ არმიელებს გადასძახებს:

ამხანაგებო!

იმეცადინეთ!

დაირაზმეთ!

იარაღისკენ ამხანაგებო!

„გვესმის", ამხანაგო ქარო, „გვესმის"!

მფრინავ ქარს გავაყოლებთ თვალს და პირს სოფლისკენ ვიზამთ საითაც მირბის ქარი და შევძახებთ:

—მშრომელო კახეთო, გაძლიერდი!

ამ ჩვენი ცხელი გრძნობებიდან მხურვალე სალამს გაუგზავნით აღმოსავლეთის ჩაგრულებს.

6

ქარი გადივლის ალაზნის ველს, დაღესტნის მთებს, აფშერონის ნახევარ კუნძულს.

სსრკ-ს პროლეტარიატი თავის მძლავრ სულს ჩაჰბერავს მას და წავა სიტყვა მკვეთრი, სიტყვა მქუხარე, სიტყვა დაბარებული:

„მშრომელო აღმოსავლეთო დაირაზმე!"

ქარი ამ სიტყვას მიიტანს თურანის დაბლობში მრავალ მილიონიან ჩინეთსა და ინდოეთში, თვით აზიის უმაღლესი მთის მწვერვალიდან წყნარ ოკეანის ნაპირებამდე, დაიკივლებს სიტყვას დაბარებულს წითელ-ვარსვლავისა და წითელ დროშის.

—მშრომელო ხალხო! გლეხობავ! მუშებო! დაძინებულო ქვეყნებო! გაიღვიძეთ ჩვენც შევსძახებთ:

—დაირაზმე მშრომელო კაცობრიობავ! თქვენსკენ გვაქს პირი, გული და გონება მოქცეული როგორც დღეს, ისე ყოველთვის...

წით. არმ. თქვენი ერთგული.

ცემა. ნამდვილად საქმე იყო შემდეგში:

ამას წინად მოქ. ხ—ძე მისული სამხედრო პოლიტ-სკოლაში და ჩემდა დაუკითხავად (იმ დღეებში მე ვითვლებოდი დრ. სკოლის უფროსად) კურსანტ ბარკალაიას თაოსნობით და კურსანტებთან შეთანხმებით დაურიგებია ჩვენი ბელადების სურათთა ალბომები ყოველ კურსანტისათვის, შეუდგენიათ სათანადო სია და ალბომების მიმღებთ მოუწერიათ ხელი ეს სია წარუდგენიათ სამნეო ნაწილში, რომ ეს თანხა დაეკავებიათ კურსანტებისათვის მომავალ ჯამაგირიდან.

ვინაიდან სამნეო ნაწილის უფროსი მაშინ იქ არ იყო მომმართეს მე და მთხოვეს, რომ მიმეცა მოქ. ხ—ძისათვის სათანადო ხელწერილი. მე ვიცოდი, რომ კურსანტებს გაუჭირდებოდათ ფულის გადახდა, რადგან მათი ჯამაგირი არის სულ უმნიშვნელო, არ წავედი მათი სურვილის წინააღმდეგ და სურათების მომტანს მივეცი ხელწერილი. ამის შესახებ უთხარი სამნეო ნაწილის უფროსაც, რომ მომავალი ჯამაგირებიდან დაეკავებიათ სიაში აღნიშნული კურსანტებისათვის ალბომების ვალი.

ჩემი წინადადება რამდენათაც შესაძლებელი იყო აასრულა სამნეო ნაწილის უფროსმა და ნაწილი ამ ვალისა დაუკავა კურსანტებს მაისის თვის ჯამაგირში და ფული გადასცა მოქ. ხ—ძეს. ამასთანავე ერთად მოქ. ხ ძეს მე განუმარტე თუ რატომ ვერ იქნა იგი სრულად დაკმაყოფილებული და აღუთქვი დაკმაყოფილება ივნისის ჯამაგირების დარიგების დროს.

როგორც ჩანდა ჩემმა განმარტებამ ის არ დააკმაყოფილა და უწმაწური სიტყვებით „თქვენ არ იცით მე ვინა ვარ და სხ." დამცილდა.

გ. კიკნაძე.

ლებიც აცნობენ ახალგაზრდობას წ.-არმიის მიზანს და დანიშნულებას.

მიმღებ კომისიის მიერ ის ახალგაზრდობა, რომლებთაც არავითარი შეღავათი არ ქონდათ ოჯახური მდგომარეობის გამო, გაგზავნილ იქმნა ჩვენი დივიზიის ძირითად ნაწილებში, ხოლო ისინი, ვინც მარტოხელი იყვნენ და სარჩენი ყავდათ, მიწერილ იქმნენ მე-6-ე ლეგიონის მე-3-ე ასეულზე, როგორც ცვალებადი წ.-არმიელები. პირველი ივნისიდან ისინი გამოწვეულ იქნებიან ყაზარმებში, რომლებიც დარწმუნებული ვართ სიამოვნებით გამოცხადდებიან, რადგან მათში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია როდესაც აუხსნით, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში იმსახურებენ სულ რამოდენიმე თვე და არ იქნებიან მოცილებულნი მაზრას, სადაც მათ საშუალება მიეცემათ ახლოს იყვენ თავის ოჯახებთან.

სამხკორი ასათიანი.

## გამოგვიცვალეთ ჩაგხუტები.

ს. ს. ს. რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის გუნდის წითელ არმიელებს ჯერ კიდევ არ მიგვილია საზაფხულო ქუდები და ქამრები. ამ სიცხეებში საზამთრო ქუდების ტარება ყოვლად შეუძლებელია.

რაშია საქმე. თუ კი ყველა ნაწილებს დაურიგეს საზაფხულო ქუდები და ქამრები, ჩვენ რა დავაშავეთ.

სამნეო ნაწილის უფროსო! შენ გევალება მიაქციო ამას ყურადღება.

გამოგვიცვალეთ საზამთრო ჩაზხუტები და მოგვეცით საზაფხულო ქუდები და ქამრები.

წ. არმიელი მუხლელი.

## მიაქციეთ ყურადღება.

მეხუთე ლეგიონის ცხენოსან მზვერავი ოცეულის, სამნეო ასეულის და არტ-ლეგიონის წითელ არმიელები ძალიან ცუდათ ეპყრობიან ცხენებს, რაიც გამოიხატება შემდეგში: როდესაც წითელ არმიელებს მიჰყავთ ცხენები მდინარეზე წყლის დასალევინებლათ, გზაზე ერთმანეთს ეჯიბრებიან, თუ ვინ უფრო ძალიან გააჭენებს ცხენს და ვინ უფრო გაასწრებს.

ცხენების ასეთი გაჭენება არ არის მიზანშეწონილი, ჯერ ერთი მიტომ რომ, გზა არის ცუდი და ქვებიანი, და მეორეც დაღლილ-დაქანცული ცხენები, რომელთაც ფერდი-ფერდს უცემთ წყალს ველარ დალევენ.

საჭიროა ამ დაუშვებელ მოვლენას მიაქცევდენ ყურადღებას ზემოხსენებული ნაწილების მეთაურები და აუკრძალავდენ წითელ არმიელებს ცხენების ჭენებას.

ამხ. წითელ-არმიელებისათვის მიუტოვებელია ასეთი შეუგნებლობა.

სამხკორი: მ.—სკი.

## მობილიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა.

დუშეთის მაზრა.

აღნიშნულ მაზრაში 1902 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის დამატებითი გაწვევა ბრწყინვალეთ ჩატარდა.

ჯერ კიდევ მიმღებ პუნქტზე შეკრების წინა დღეებში სამპარტ-კომის მიერ დაგზავნილ იქმნა ცირკულიარი რაიკომების მდივნებზე კამპანიების ჩასატარებლად გაწვევის გლეხობაში ფართოდ გასაცნობად.

მიმღებ პუნქტზე გამოცხადდა სამხედრო კომისარიატის მიერ აღრიცხვაზე აყვანილ 1902 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის მთელი 100 პროც. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე უმიზეზოდ დაკლებოდეს გაწვევას. პუნქტზე ეწყობოდა გაზეთების ხმა მაღალი კითხვა და საუბრები ტერ-სისტემის და საერთოდ წ. არმიის მნიშვნელობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ მაზრის ახალგაზრდობის 95 პროც. წერა კითხვის სრულიად უცოდინარნი არიან, თვითეულ მათგანს ნათელი წარმოდგენა აქვს თუ ვის ინტერესებს იცავს წ. არმია და როგორია საერთოდ საბჭოთა წესწყობილების სტრუქტურა. ამაში დიდი შრომა მიუძღვის უვადო შვებულებაში გაშვებულ წ. არმიელებს, რომ-

## ამბები სოფლებიდან.

**სოფლის შუამდგომლობა.** სოფ. გეჯათის ალმასკომმა იშუამდგომლა სენაკის სამალმასკომის წინაშე უფასო ხე-ტყის მასალის გასაცემათ სკოლისა და ალმასკომის შენობების შესაკეთებლათ.

**ინვალიდთა ა‌რტელი.** ქიათურაში დაარსდა ინვალიდთა არტელი „სტუმარ-მოყვარედ". არტელი ახლო ხანში გახსნის სასადილოს.

**წვიმები დასავლეთ საქართველოში.** დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულთა სიტყვით, უკანასკნელ დღეებში იქ გამუდმებით მოდის წვიმები, რაც ძლიერ კარგ გავლენას მოახდენს მოსავალზე.

**ღარიბთა დახმარების მიზნით.** ახალციხის ალმასკომმა გადასწყვიტა მოახდინოს სოციალ უზრუნველყოფაზე აყვანილ ღარიბთა წმენდა და უზრუნველყოფაზე დასტოვოს მხოლოთ უმწეონი.

**მეფუტკრეობის კურსები.** გორში გახსნილი მეფუტკრეობის კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფუტკრე ყანჩაველი, უკვე დაამთავრა 31 კაცმა. კურსები მოწყობილი იყო მეფუტკრეობის ბიუროს მიერ.

## ახალი ამბები.

— **ბაღები ფუნიკულიორთან.** ტფ. ფუნიკულიორის ქვემო სადგურთან ამ ჟამად აშენებენ ბაღს და შეუდგენ აგრეთვე ფუნიკულიორის ზემო სადგურის ბაღის გამშვენიერება-კეთილ მოწყობას.

— **თემალმასკომების** მდივნების გადასამზადებელ კურსებზე გახსნილ იქნება ორი ჯგუფი. სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

— **მევენახეობის საჭიროებისათვის** წელს მიწ.—მოქ. კომისარიატმა დაგზავნა სხვა და სხვა მაზრებში 52.285 ფ. შაბიამანი და 84.500 ფ. გოგირდი.

— **სოც. დაზღვევის** სამმართველომ გადასწყვიტა ფიზიოლოგიურ ლაბორატორიის სასარგებლოთ გადასდოს 3 ათასი მანეთი.

— **ტუბერკულიოზი.** ჯანსახკომის ცნობით მთელ საქართველოში, ყოველ ათას მოქალაქეზე 4 ჭლექიანია.

— **ტრამვაის დირექციამ** გადასწყვიტა, ახალი ლიანდაგის დაგების დროს შემოიღოს ლიანდაგის დაგების ახალი ტეხნიკური საშუალებანი.

— **ბორჯომის წყალი.** მიმდინარე წელში განზრახულია დამზადდეს 2 ნახევარი მილიონი ბოთლი ბორჯომის წყალი ბაზარზე გასასაღებლათ.

## ხელოვნება.

— **ქუჩიშვილის საღამო.** ახლო ხანში რუსთაველის თეატრში გაიმართება პოეტ გიორგი ქუჩიშვილის საღამო.

## მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი გამოგონება.

ადგილმდებარეობის აგეგმის საწარმოებლად საინტერესო ახალი აპარატი მოგვცა ამხ. სუნდუკიანცმა. მან გამოიგონა ახალი ტახეომეტრი (იარაღი რომლითაც შეიძლება აგეგმის ჩქარი წარმოება), რომელიც დამყარებულია მექანიკურ პროცესებზე და ძლიერ განსხვავდება ოპტიურისაგან.

გამომგონებელის პროექტის თანახმად, მისი ტახეომეტრის საშუალებით შესაძლებელი ხდება გამოუანგარიშებლად აგეგმის წარმოება, ცხრილის შეუდგენლად და ლოგარითმული სახაზავის დაუხმარებლად.

მართალია მექანიკური პროცესებისათვის აგეგმში, აქამდე არსებობდენ კრეიტერის სისტემის ტახეომეტრები, გამორფენერის და სხვა, მაგრამ მათი რთული აგებულობისა და აგეგმის დროს ძნელი მოსახმარისობის გამო, თითქმის გამოსული არიან ხმარებიდან. სუნდუკიანცის ტახეომეტრში ამ დეფექტებს სავსებით ადგილი არა აქვს, და აგეგმისათვის მოქმედება ხდება სწრაფად, რაც ამსუბუქებს საველე მუშაობას.

ყველა ზემო ჩამოთვლილ უპირატესობასთან ერთად ყველა გეოდეზიური იარაღები როგორც არიან: თეოდოლიტები, პანტომეტრები და კოპარეგელები შეიძლება გადაკეთებული იქნენ ტახეომეტრებათ.

**გადასატანი შტატივი.**

სტუდენტ ვინოგრადოვმა გამოიგონა გადასატანი შტატივი რენტგენის სხივებისათვის. (რენტგენის სხივები ხასიათდება მეტის მეტი გამჭვირვალობის თვისებით. მაგალითად, თუ ამ სხივებს მიაშუქებთ ადამიანს, შეგიძლიათ მთელი მისი ჩონჩხი ძვლები თვალ ნათლივ დაინახოთ სხეულში).

მთელი შტატივი (აპარატია) გაკეთებულია ხისაგან და ძლიერ მსუბუქიც არის. ის ადვილად იშლება მცირე ნაწილებად და შეიძლება მისი გადატან-გადმოტანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

რამოდენიმე პროფესორებისა და სპეციალისტებისაგან შემდგარმა კომისიამ, აპარატი მოი... წონა, როგორც ფართოდ გა... მოსაყენებელი.

აპარატი მით არის საყურა... ღებო, რომ მისი საშვალები... რენტგენის სხივებით სარგე... ლობა შესაძლებელი ხდება ს... მაზრო, სათემო და სხვა მო... რავ სამკურნალოებში.

**ელექტრონის ხელსაწყო თმ... გასაშრობათ.**

აღნიშნული აპარატი დი... ხანი არ არის რაც ხმარებაშ... ინგლისის საპარიკმახეროებ... და აბანოებში. ის წარმოა... გენს ლითონისაგან დამზა... ბულ თავზე ჩამოსაცმელ გუ... ბათს. ელექტრონული გამახუ... რებელი აპარატი მოთავსებუ... ლია გუმბათის შიგნით-მის ზ... და ნაწილში და ისეა მოწყო... ბილი, რომ მშვენივრად ინარ... ჩუნებს გამომუშავებულ სით... ბოს.

გუმბათს შეუერთებენ განა... თებისათვის ოთახებში გაყვა... ნილ ელექტრო ნაკადს.

აპარატი უბრალო, იაფია დ... მისი მოხმარება შეიძლება მეო... რე პირის დაუხმარებლად.

## აბა გამოიცანი?

ამოცანა № 28.

ორი გლეხი დაჯდენ პურის საჭმელად. ერთს ჰქონ... ორი პური, მეორეს კი სამი ასეთივე ზომისა და წონის პუ... რები. ამ დროს მივიდა მათთან მოშივებული მონადირე და... სთხოვა მისთვისაც ეჭმიათ პური.

გლეხები დასთანხმდენ და ყველა პურები გაიყვეს თანას... წორად სამ ნაწილად. სადილის გათავების შემდეგ მონადირე... მათ მადლობა გადაუხადა და გადასცა მათ ორი შაური.

როგორ უნდა გაიყონ მათ ეს ფული?

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ჩვენი ნებით დაქირავებული უნცროსი მეთაურებ... თანახმად საშ. რევ. საბჭ. ბრძანებისა № 1288, ვსარ... გებლობთ იმ უფლებით, როგორც საშუალო მეთაუ... რები, გარდა ცოტა განსხვავებისა.

მე-6-ე ქართ. ტერ—ლეგ. ჩვენ გვეპყრობიან, როგორც... სავალდებულოდ გამოწვეულს, მაგ. ჩვენი ტანისამო... სით მეცადინეობის შემდეგ არ შეგვიძლია ქალაქშ... წავიდეთ, არც დაუკითხავად და უდასტუროდ. გთხოვ... გვიპასუხოთ აღნიშნული მოთხოვნილება კანონიერა... ვრცელდება ჩვენზე თუ არა?

ნებით დაქირავებული 4-ე წერ. მეთ. მონდობილობით თოლორდუა.

**პასუხი.** თქვენ, როგორც მეთაური, გაცნობილი უნდა იყო... შინა სამსახურის წესდებასთან, სახელდობრ 20 მუხლ... თან, სადაც ნათლად არის მოცემული პასუხი თქვე... მიერ აღძრულ კითხვებზე.

## პასუხად გოგიაშვილს.

გაზ. „წითელ არმიელის" № 105-ში მოთავსებულია ამ... გოგიაშვილის პასუხი ვითომ და მე მას ცილს ვწამებდე. დ... ვითომდა იგი მიწვევს სამედიატორო სასამართლოში. ამხა... ნაგო გოგიაშვილო! დიდი სიამოვნებით გამოგყვებით სამე... დიატორო სასამართლოში. ჩემი მხრივ მედიატორებათ... ვასახელებ შემდეგ ამხანაკებს: რობაქიძეს, ჩხაიძეს, ჩაჩუას... ბლიაძეს და ნატროშვილს. საქმე გაირჩეს ჩვენს კლუბში... კვირას 24 მაისს დილის 10 საა-თზე.

სამხკორი მ—სკი.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ჯღანკს.** თქვენი კორესპონდენცია: „საინტერესოა რი... იკვებებიან" დაუსაბუთებელია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. წულაიას.** კორესპონდენცია „ლენინის კუთხე და მის... მოწყობა" შეჩერებულია, სანამ არ გვაცნობებთ... თუ რა და რა განყოფილებებია თქვენი ნაწილის ლე... ნინის კუთხეში.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძ...